

17. 2015 წელს ბიუჯეტში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული მიმოწერის ასლები.



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ქ. ამბროლაური, თამარ მეფის ქ. №1

№ 639

I, Tamar Mepe, Ambrolauri

02 აპრილი

2015 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 06 მარტის N422 განკარგულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გატარდება შემდეგი ღონისძიებები:

1. შემცირდება საკრებულოს აპარატის საპრემიო დაფინანსება 1000 ლარით; ოფისის ხარჯი 3500 ლარით; მივლინების ხარჯი 1000 ლარით; სულ-5500 ლარით.
2. შემცირდება გამგეობის ხარჯებიდან: მივლინების ხარჯი 2000 ლარით; ოფისის ხარჯი 15500 ლარით; დამქირავებლის მიერ გასაწევი სოციალური ხარჯი 6600 ლარით; სულ-24100 ლარი.
3. შემცირდება ქვეყნის თავდაცვის ღონისძიებების ხარჯებიდან დამქირავებლის მიერ გასაწევი სოციალური ხარჯი 2000 ლარით.
4. შემცირდება სპორტული ღონისძიებების დაფინანსება 51500 ლარით.
5. შემცირდება საახალწლო ღონისძიებების დაფინანსება 5000 ლარით.

არაფინანსური აქტივებიდან ავტომობილის შესაძენად გამოყოფილი 40 000 ლარი მიიმართება ძალოვანი ტრანსფორმატორის შესაძენად, შაორის ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით.

გამოთავისუფლებული 88100 ლარიდან 50 000 ლარი მიიმართება სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების სარეაბილიტაციოდ, ხოლო 38 100 ლარი ინფრასტრუქტურულ პროექტების დასაფინანსებლად.

პატივისცემით,



(Handwritten signature)

